საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030188220170720

№ 01-309/ო **02 / ივლისი / 2020 წ.**

მსოფლიო ბანკის (WB IBRD სესხი 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB სესხი L0388A) სესხის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N473 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ო“ და „ჟ“ ქვეპუნქტებისა და 21-ე მუხლის შესაბამისად მსოფლიო ბანკის (WB IBRD სესხი 9113-GE) და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB სესხი L0388A) სესხის (შემდგომში - პროექტი), გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი შესყიდვების სატენდერო კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამარ გაბუნია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

ბ) **გიორგი წოწკოლაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) **თამარ ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

დ) **ბექა ჯაყელი** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

ე) **თინათინ ხარძიანი** - სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;

ვ) **ზაალ კაპანაძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორი, კომისიის წევრი;

ზ) **ოთარ ნამიჭეიშვილი** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;

თ) **ამირან გოგიტიძე** - სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის, სამედიცინო უზრუნველყოფის და გამოძახებათა მართვის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „დ“ – „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პირის არყოფნის შემთხვევაში, კომისიაში მონაწილეობას იღებს მისი მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

3. **კომისია:**

ა) უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში შესყიდვის ობიექტის (საქონლის/მომსახურების/სამუშაო) განსაზღვრას;

ბ) უზრუნველყოფს შესყიდვის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღებას;

გ) ახორციელებს სხვა ფუნქციებს, რაც უკავშირდება პროექტის ფარგლებში შესყიდვის პროცედურების უზრუნველყოფას.

4. **კომისიის მუშაობის წესი:**

ა) კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში - თავმჯდომარის ერთ-ერთი მოადგილე;

ბ) კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება შემადგენლობის ნახევარი მაინც. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის დამსწრე შემადგენლობის უმრავლესობით;

გ) კომისია საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით. მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, დამსწრე წევრები და სხდომის მდივანი;

დ) კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის მუშაობის სხვა პროცედურულ საკითხებს, რაც არ არის დარეგულირებული წინამდებარე ბრძანებით.

5. კომისიის სამდივნოს ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (შემდგომში - PIU) შესაბამისი თანამშრომლები:

ა) **ნინო კვერნაძე** - პროექტის მენეჯერი;

ბ) **ნინო გვენეტაძე** - პროექტის შესყიდვების კონსულტანტი.

6. საჭიროების შემთხვევაში სატენდერო კომისია უფლებამოსილია კომიიის სხდომაზე მონაწილეობის მიღების მიზნით, ხმის უფლებით, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები (ექსპერტები).

7. სატენდერო კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებების შესრულებას (მათ შორის, პროექტის ფარგლებში შესყიდვის პროცედურების დადგენილი წესების შესაბამისად უზრუნველყოფას, გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტის მომზადებასა და გაფორმების ორგანიზებას, აგრეთვე გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობას).

8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს - გიორგი წოწკოლაურს მიენიჭოს უფლებამოსილება სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროს სახელით ხელი მოაწეროს პროექტის ფარგლებში გასაფორმებელი შესყიდვის ხელშეკრულებებს. მისი (გ.წოწკოლაური) არყოფნის შემთხვევაში, ხელშეკრულების ხელმოწერას უზრუნველყოფს ამ ბრძანებით განსაზღვრული სატენდერო კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე